საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№6 / 2010

# არასამთავრობოდან საკრებულოში

## „წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიცია მჩაგრავდა“



ალან ტუნაძე

**ასლან ტუნაძემ არასამთავრობო ორგანიზაციიდან საკრებულოში 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გადაინაცვლა. სახელისუფლებო პარტიიდან დეკანაშვილების თემის მაჟორიტარობის კანდიდატმა კონკურენტები დაამარცხა და ახლა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიას კურირებს. წინასაარჩევნო პერიოდში ყურადღება იმით მიიქცია, რომ მის ამომრჩევლებთან შეხვედრას ერთ-ერთი სკოლის დირექტორი შეეწირა. იგი მიიჩნევს, რომ მას წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიცია ჩაგრავდა.**

ნახევარი საუკუნე უკვე უკან მოიტოვა, 8 აგვისტოს 51 წელს შეასრულებს. ცხოვრების ამ ახალ ეტაპს ახალ ამპლუაში, განსხვავებულ გარემოში ხვდება. ამბობს, რომ გამოცდილება დიდი აქვს, განსაკუთრებით მოსახლეობასთან ურთიერთობაში და საკრებულოში მუშაობა არ გაუჭირდება. ცხოვრების ფერხულში ჩაბმა ბრიგადირად მუშაობით დაიწყო. შემდეგ პროფკავშირების თავმჯდომარე იყო, მოგვიანებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მცირე ტაიმაუტი აიღო და მოგვიანებით, 1996 წელს, მშობლიური სოფლის გამგებლად დანიშნეს. პირველი „დიდი“ საქმე სწორედ ამ დროს გააკეთა: სოფელში მისი ინიციატივით სკოლა აშენდა. „გახსოვთ, ალბათ, მაშინ რა ცუდი პერიოდი იყო. ეკონომიკურად უჭირდა ქვეყანას. მაგრამ სკოლა სოფელს სჭირდებოდა და სწორედ მოსახლეობის ინიციატივით აშენდა. რომ არა ხალხის მხარდაჭერა, ამას ვერ შევძლებდი. თუ რამე გამიკეთებია, ეს ქედლების სკოლის აშენებაა“ – აცხადებს ტუნაძე.

სოფლის გამგებლობის შემდეგ კომერციული საქმიანობა დაიწყო. 1998-2000 წლებში საკრედიტო კავშირის მენეჯერად მუშაობდა. მაშინ, არასამთავრობო სექტორს არც კი იცნობდა. მაგრამ 2002 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეამ“ დაიწყო ფუნქციონირება და ტუნაძის სამსახურებრივ საქმიანობაშიც ახალი, განსხვავებული ეტაპი დაიწყო. „ქეას“ ინიციატივით ხულოში რამდენიმე სათემო კავშირი შეიქმნა. ერთ-ერთი „ქედლები“ იყო. მოსახლეობამ ყოფილი გამგებლის დამსახურება გაიხსენა და სათემო კავშირ „ქედლების“ თავმჯდომარედ ასლან ტუნაძე აირჩია. სოფლის გამგებლობის დროს აშენებული სკოლა ახლა გაარემონტა: შენობის პირველ სართულზე მოაწყეს დარბაზი სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად, გააკეთეს კლასკაბინეტები, სველი წერტილები... ასე დაიწყო ტუნაძის მოღვაწეობა არასამთავრობო სექტორში.

დაასრულა რა „ქეამ“ თავისი პროექტი ხულოს მუნიციპალიტეტში, სათემო კავშირები დაიშალა. „ქედლები“ ერთადერთია, რომელმაც მუშაობა გააგრძელა და ესეც ასლან ტუნაძის დამსახურებაა. სათემო კავშირმა „ქედლები“ დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. პირველი დამოუკიდებელი პროექტი გაეროს „მსოფლიო სასურსათო პროგრამის“ ფარგლებში განახორციელეს. ეს იყო პროექტი „სურსათი ხელით სამუშაოსთვის“. ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა „თხილის განაშენიანება მეწყერ და ზვავსაშიშ ზონებში“, „ქედლების წყლის რეაბილიტაცია“, სარწყავი არხების გამოყვანა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. სოფელ ქედლების მოსახლეობა, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობაში მონაწილეობდა, გასამრჯელოს სახით სურსათს (ფქვილს, შაქარს, ზეთს, მარილს და ა.შ.) იღებდა. სათემო კავშირ „ქედლების“ დამსახურებაა ისიც, რომ საშუალო სკოლას აქვს მინიმოედანი. სულ ცოტა 12 პროექტი განახორციელა სათემო კავშირმა დამოუკიდებლად და ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასაც დაამახსოვრა თავი.



ასლან ტუნაძე „ინტელექტში“ მუშაობის პერიოდში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“ თანამშრომლობა ასლან ტუნაძემ სათემო კავშირ „ქედლების“ ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო. 2006 წელს კი მონაწილეობა მიიღო „ინტელექტის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში და თემის მობილიზატორად დაიწყო მუშაობა პროექტში: „ჩვენი არჩევანი — რეალური თვითმმართველობა“. პროექტის ფარგლებში მობილიზაციას უწევდა მოსახლეობას, რათა „ინტელექტის“ განმანათლებლებისთვის მოესმინათ და მიეღოთ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, ამომრჩევლების უფლებების, მოვალეობების და თითოეული ხმის მნიშვნელობაზე. იგი მიიჩნევს, რომ პროექტი ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული იყო: „ფაქტია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ საკითხებში დღესაც არ არის მთლად გაცნობიერებული, მაგრამ შედეგი ნამდვილად არის. ახლა მეტ-ნაკლებად განათლებულია მოსახლეობა, რაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც გამოჩნდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მე ამირჩიეს, მართლა ბევრი მიხვდა თავისი ხმის მნიშვნელობას და აზრი – „სულ ერთია, ჩემ ხმას მაინც მისცემენ,“ ძველებურად აქტუალური აღარ არის“.

ასლან ტუნაძე მიიჩნევს, რომ 2010 წლის ადგილობრივი თითმმართველობის არჩევნები ობიექტურად ჩატარდა და ეს არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგი იყო. მისი თქმით წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიცია სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებს ჩაგრავდა: „მე კენჭს დეკანაშვილების თემში ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან მაჟორიტარ კანდიდატად ვიყრიდი და ოპოზიცია მჩაგრავდა. როცა მოსახლეობას ვხვდებოდი, არაფერს ვპირდებოდი, უფრო ანტიპროპაგანდას ვეწეოდი. ხალხს ვეუბნებოდი, ვერაფერს დაგპირდებით, საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში მოვალ და თქვენი პრობლემების მოგვარებაზე მერე დავილაპარაკოთ-მეთქი.“ მოსახლეობამ ის აირჩია და არც ახლახან არჩეული საკრებულოს წევრს დავიწყებია დანაპირები: მოსახლეობასთან შეხვედრები უკვე 2 დღეა დაასრულა და პრობლემების ვრცელი სია შეადგინა. ამბობს, რომ საქმეს დღეიდან შეუდგება და მაქსიმალურად შეეცდება, ხალხის პრობლემების მოგვარებას. დასახელებულთაგან პრიორიტეტულის არჩევაში არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობისას მიღებული გამოცდილება დაეხმარება.

წინასაარჩევნო პერიოდიდან ცუდად დაამახსოვრდა თავისი პირველი შეხვედრა ამომრჩევლებთან, რომელსაც ოქრუაშვილების საჯარო სკოლის დირექტორი შეეწირა. „დადარაჯებული იყვნენ მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, ამიტომ სიტყვის თქმაც ძნელი იყო და ხალხთან შეხვედრაც. ოქრუაშვილების ფაქტი თითქმის საქართველოში არსებულმა ყველა მედიასაშუალებამ გააშუქა, მაგრამ ჩემთვის ამ საკითხთან დაკავშირებით არავის არაფერი უკითხავს. არადა, ერთ-ერთი მთავარი პირი და ამ ცუდი საქმის მიზეზი მე ვიყავი. წარსულმა უკვე ჩაიარა და არ მსიამოვნებს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ მინდა ხალხმა სიმართლე იცოდეს. სკოლის დირექტორის გათავისუფლება უსამართლობა იყო. როცა სოფელ ოქრუაშვილების სკოლაში გავედით (მე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხულოს ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ ხოზრევანიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროპორციული სიის წევრები – ნოდარ თავართქილაძე და ემზარ აბულაძე), გაკვეთილები მართლაც მიმდინარეობდა. ვიდრე სასწავლო პროცესი დასრულდებოდა, სოფელში გავიარეთ და მოსახლეობას შევხდით. გაკვეთილების დასრულების შემდეგ ისევ სკოლაში გადავინაცვლეთ და აგიტაცია დავიწყეთ. იქ მასწავლებლების გარდა სოფლის რიგითი მოსახლეობა იყო შეკრებილი. ისიც კი დაგვაბრალეს №5 შემოხაზეთ, ამას გვეუბნებიანო. ჩვენ სწორედ ამის სათქმელად ვიყავით მისული და სხვას რას ელოდნენ? შეხვედრას ჩემი ერთ-ერთი კონკურენტის შვილი – მასწავლებელი ბადრი აბაშიძეც ესწრებოდა. იგი, შეიძლება ითქვას, უაზრო შეკითხვებს გვისვამდა: რატომ მოხვედით, რა გინდათ და ა.შ. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ თუ არ მოწონდა ჩვენთან შეხვედრა, შეეძლო წასულიყო და იმათ დაველაპარაკებოდით, ვისაც აინტერესებდა. მეორე დღეს ოლქში საჩივარი შეიტანეს ნოლაიდელის პარტიის წარმომადგენლებმა, რასაც სავალალო შედეგი — სკოლის დირექტორის გათავისუფლება მოჰყვა. რამდენადაც დასტურდება, მეშვიდე გაკვეთილი (მუსიკის) ჰქონია ჩასატარებელი იმ „ოპოზიციონერ“ პედაგოგს. რადგან ბავშვები არ დაესწრნენ და წავიდნენ, სასწავლო პროცესი ჩაიშალა, თუმცა მიზეზად არა ბავშვების სკოლიდან უნებართვოდ წასვლა, არამედ ჩვენი შეხვედრა დაასახელეს. ეს ისეთი საკითხი იყო, რაზედაც არ ღირდა ლაპარაკი... მაგრამ იმას მიაღწიეს, რომ სკოლის დირექტორი იოსებ შავაძე თანამდებობიდან გაათავისუფლებინეს. სკოლა ოფიციალურად იყო გამოცხადებული წინასაარჩევნო შეხვედრების ადგილად ოლქის მიერ, ვისაც გაკვეთილი ჰქონდა ჩასატარებელი, შეეძლო არ დაგვსწრებოდა, ჩვენ არავისთვის არაფერი დაგვიძალებია“ – განაცხადა ასლან ტუნაძემ.

ასლან ტუნაძემ „ინტელექტთან“ არასამთავრობო სექტორიდან სამთავრობოში გადასვლის მიზეზებზეც ისაუბრა: „არ დამაკმაყოფილა სათემო კავშირის დიაპაზონმა და გამიჩნდა სურვილი, უფრო მეტი საქმე მეკეთებინა. მე ჩემს თავს იქ რეალიზაციას ველარ გავუკეთებდი. აქ უფრო მეტი შესაძლებლობებია საქმის საკეთებლად. არასამთავრობო ორგანიზაციას ხელისუფლება ისე უყურებს, როგორც ოპოზიციას. ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ამის წინააღმდეგ ბრძოლაა. მინდა ყველას ჩავაგონო, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ოპოზიცია არ არის. ისინი იმისთვის არსებობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ნაკლზე მიუთითონ და გასაკეთებელი დაანახონ; რომ მათი საქმიანობა საზოგადოების გამოფხიზლებისკენ, მოსახლეობის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ვიმედოვნებ, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საზოგადოებაში ასეთი აზრი აღარ იქნება დამკვიდრებული და ხელისუფლების წარმომადგენლებს განსხვავებული აზრის მოსმენა არ გაუჭირდებათ.“

ასლან ტუნაძე არასამთავრობო სექტორში მუშაობით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ იქ დიდი გამოცდილება შეიძინა და ბევრი რამ ისწავლა: „ხალხზე მოსმენა, მათი აზრის გაგება, მოსახლეობის მობილიზება... ერთი სიტყვით, თუ რამე ვიცი, არასამთავრობოში ვისწავლე. მანამდე ხალხთან მუშაობის გამოცდილება ნამდვილად მქონდა, მაგრამ კომუნისტების სტილის იყო. იქ მიღებული გამოცდილება ახალ სამსახურში უკვე ძალიან გამომადგა“.

არასამთავრობოდან საკრებულოში გადასული ასლან ტუნაძე „ინტელექტთან“ თანამშრომლობას ახლა ახალი სტატუსით აპირებს. „დარწმუნებული ვარ „ინტელექტი“ დიდ საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნისათვის. იგი ძირითადად მუნიციპალიტეტებს მოიცავს. რამდენადაც ჩემს ძალებს აღემატება, ხელს შევუწყობ ყველა დონეზე პროექტების განხორციელებაში“ – ამბობს ის. მანამდე კი მოსახლეობის პრობლემებზე უნდა იზრუნოს. ძირითად პრიორიტეტად სოფლის ცენტრებში გარე განათებების დამონტაჟება და გზების რეაბილიტაცია სახელდება. ასლან ტუნაძე თვალს მიადევნებს მიზნობრივი პროექტების განხორციელებასაც, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

# ,,მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას‘‘

დამტკიცებულია

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“
გამგეობის თავმჯდომრის
2010 წლის 1ივნისის №19/EU/211023 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ კონკურსის
„მე ვიცნობ ჩემს თვითთმმართველობას“
კომისიის დებულება

**თავი I. ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.** კონკურსის ,,მე ვიცნობ ჩემს თვითთმმართველობას „კომისიის დებულება დამტკიცებულია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ,,ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომრის 2010 წლის 1 ივნისის N №19/EU/211023 ბრძანების შესაბამისად და განსაზღვრავს კონკურსანტთა შერჩევისა და კომისიის საქმიანობის წესს

**თავი II. საკონკურსო კომისია**

**მუხლი 2.** კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. კომისიის მიზანია:

ა) სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამარჯვებულთა შერჩევა კონკურსის წესით;

**2. კომისიის ფუნქციებია:**

ა) კონკურსში მონაწილეთა შორის გამარჯვებულთა გამოვლენა ტესტირების საფუძველზე;

ბ) შესაბამისი პირისათვის კანდიდატის შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა.

**მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
2. კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარე.
3. კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს გამგეობის თავმჯდომარე.
4. კომისიის მუშაობაში შეიძლება მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები.

**მუხლი 4. კომისიის სხდომა**

1.კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა უბრალო უმრავლესობით, ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომრის ხმა.
4. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
5. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

**თავი III. კონკურსი**

**მუხლი 5.** კონკურსის გამოცხადება

1.კონკურსს აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ,,ინტელექტი“ ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, აგრეთვე საინფორმაციო შეხვედრებისა (თემებში აფიშების გაკვრა) და კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სანფორმაციო საშუალების გამოყენებით, ამასთან მსურველებს განცხადების შესატანად ეძლევათ ერთ კვირიანი ვადა შეტყობინების გამოცხადების დღიდან.

2. შეტყობინება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსის მიზანს;

ბ) კონკურსის ჩატარების ფორმას;

ბ) კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნებს და შეზღუდვებს;

გ)ინფორმაციას ჯილდოს შესახებ;

დ) აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;

ე) კომისიის მისამართს.

3.კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

4. ძირითადი საკონკურსო მოთხოვნებია საქართველოს შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- ,,საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საარჩვნო კოდექსი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის +++ თავი;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, \++ -\+| თავი;
- კონკრეტული მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტები (საკრებულოს (რეგლამენტი) დებულება, გამგეობის დებულება)

**6. ძირითადი საკონკურსო შეზღუდვებია:**

კონკურში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:

- საჯარო მოხელეებს;
- მოქმედი საკრებულოს წევრებს;
- პროექტში მონაწილე განმანათლებლებს;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს;
- იურისტებს;
- 18 წლის ასაკამდე პირებს

**მუხლი 6.** კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაცია

1.კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) მათ მიერ შევსებული განაცხადის სპეციალური ფორმა;

ბ) განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების შეტანის ვადის განმავლობაში განმცხადებელს უფლება აქვს უკან გამოითხოვოს თავისი განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

**მუხლი 7.** კონკურსის ჩატარების პროცედურა

1.კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

**ეტაპი 1**

ამ ეტაპზე კონკურსები ჩატარდება სამიზნე მუნიციპალიტეტებში,ყოველ მუნიციპალიტეტში ჩატარებულ კონკურსში გამოვლინდება 3 გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს კი სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები.

**ეტაპი 2**

მუნიციპალიტეტში გამართულ კონკურსებში გასული მონაწილეები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ კონკურსში.

რეგიონალურ კონკურსში გამოვლინდება 3 გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს კი სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები.

2. საკონკურსო საკითხებს, ფორმებს და პირობებს განსაზღვრავს ეს დებულება, საკითხები რომლებიც ამ დებულებით არ არის განსაზღვრული, მიიღება კომისიის გადაწყვეტილებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე.

**მუხლი 8.** კონკურსის პირობები

1. ტესტთა რაოდენობა კონკურსის პირველი ეტაპისთვის განსაზღვრულია 50 ტესტით, ხოლო მეორე ეტაპისთვის 60 ტესტით.
2.კონკურსის ხანგრძლივობა პირველი ეტაპისთვის განსაზღვრულია 90 წუთით, ხოლო მეორე ეტაპისთვის განსაზღვრულია 120 წუთით.
3. კონკურსში მონაწილეთათვის აუცილებელია, რომ მათ გადალახონ მინიმალური ზღვარი, რომელიც პირველი ეტაპისთვის განსაზღვრულია 20 ქულით, ხოლო მეორე ეტაპისთვის 25 ქულით.
4. ტესტი ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დადასტურებულია კომისიის თავმჯდომრის ხელმოწერით.
5. ტესტი, რომელშიც იქნება შეტანილი სამ ცვლილებაზე მეტი, გამოცხადდება ბათილად და კონკურსანტი გამოეთიშება აღნიშნულ კონკურსს.

**მუხლი 9.** გამარჯვებულთა გამოვლენა

1.კონკურსში მონაწილეთა შორის გამარჯვებულთა შერჩევა ხდება წერილობითი ტესტირების შედეგების მიხედვით, უმაღლესი ქულების მქონე კანდიდატების გამოვლენით.
2. თუ ორ ან რამდენიმე კანდიდატს ექნება ქულათა თანაბარი რაოდენობა, შეფასების კრიტერიუმად გამოყენებული იქნება დრო, რომელიც დაიხარჯა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

**მუხლი 10.** კომისიის სამდივნო

1. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს შექმნას კომისიის სამდივნო (შემდგომში სამდივნო).
2. სამდივნოს ევალება კონკურსის მოსამზადებლად ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის მსურველთა განცხადებების მიღება, წარმოდგენილი დოკუმენტების ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დოკუმენტების კომისიისთვის წარდგენა.
3. კონკურსის დამთავრებისა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს არსებობას.

**მუხლი 11.** კონკურსის შედეგები

1.კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა, უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა აცნობებს კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ პირს.

**მუხლი 10.** კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავიIV. დასკვნითი დებულებანი**

1.საკითხები, რომლებიც ამ დებულებით არ არის მოწესრიგებული, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.დებულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

# ყველაზე რეიტინგული მუნიცი პალიტეტი

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში გაზეთ „ინტელექტში“ იწყებს რუბრიკას „რეიტინგი“, სადაც მოთავსებული იქნება რეგიონის მუნიციპალიტეტების რეიტინგები, განსაზღვრული კონკრეტული, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

„რეიტინგი“ ყველაზე რეიტინგულ მუნიციპალიტეტს გამოავლენს შემდეგი კრიტერიუმებით: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის თანაფარდობა, საკრებულოს წევრების მიერ თემებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა მოსახლეობასთან, მიზნობრივი პროექტების სიმრავლე, განხორციელების გზები და ხარისხი და სხვა კრიტერიუმები. კრიტერიუმები შემუშავებული იქნება პროექტის მონაწილე ექსპერტების მიერ.

რუბრიკა „რეიტინგის“ შემოღება მუნიციპალიტეტებს შორის შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. მისი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესება.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge